

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი №2

ქ. თბილისი

30.08.2013

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ქეთევან ჯაყელი - მუნიციპალური მომსახურების უზრუნველყოფთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი; საბჭოს თავმჯდომარე;

ხათუნა ჩხაიძე - ს.ს. „ლომისის“ პერსონალის მართვის დირექტორი; საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ლალი დოღელიანი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, პროფესიული განვითარების, მეცნიერების და კულტურის ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე; საბჭოს მდივანი;

ლიანა ზამზამიძე - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

კახაბერ ერაძე - შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ საქართველოს ბიზნესის აკადემია „SBA“-ს რექტორი, ეკონომიკის დოქტორი;

ჯუმბერ გაბრიელაშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი;

ალექსანდრე ეჯიბაძე - პროფესიული განათლების ექსპერტი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ნანა ჭილაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;

ნინო ფურცხვანიძე - აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ნინო ბეგიაშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;

კონსტანტინე ჩოკორაია - ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი.

ავტორიზაციის მამიებელი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. ია ერაძე - შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA დირექტორი;
2. შორენა ხუბუნაია - შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი;
3. სალომე სორდია - შპს - სიოს კოლეჯის დირექტორი;
4. ციცილო ნემსიწვერიძე - შპს - სიოს დირექტორი;
5. ნათია ნოზაძე - შპს - არსის დირექტორი;
6. მურმან გუგუშაშვილი - შპს - ხარისხის მართვის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორი;
7. მანანა მახარაშვილი - შპს - ხარისხის მართვის საზოგადოებრივი კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი;
8. ლევან ასათიანი - შპს - წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის საზოგადოებრივი კოლეჯის რექტორი;

9. ლია ბულაძე - ა(ა)იპ - ადამიანი და ბუნების სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;
10. რაინდი ლომია - შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ „კავკასიონის“ დირექტორი;
11. რამაზ გაგოშაშვილი - სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „მოდუსის“ დირექტორი;
12. ნაზი სიხარულიძე - სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „მოდუსის“ ხარისხის მართვის სამსახურის მენეჯერი.

ავტორიზაციის ექსპერტები:

- ნინო ფეტვიაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
- თეა ნადირაძე - ავტორიზაციის ექსპერტი;
- ელენე გვენცაძე - ავტორიზაციის ექსპერტი;
- შორენა ჯაფარიძე - ავტორიზაციის ექსპერტი;
- ციური დურული - ავტორიზაციის ექსპერტი.

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 19:13 სთ-ზე და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს წევრის, ჯუმბერ გაბრიელაშვილის თქმით 9 საკითხის განხილვა ერთ საბჭოზე რთული იყო. მან აღნიშნა, რომ დასკვნების გაცნობის შემდეგ აღმოჩნდა, რომ პროგრამების ნაწილი იყო უხარვეზო და შეიძლებოდა, მათი პირდაპირ აკრედიტაციის საბჭოსთვის გადაცემა.

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა, ნანა ჭილაძემ განაცხადა, რომ ცენტრმა საბჭოს წევრებთან შეთანხმებით შეადგინა დღის წესრიგი. საბჭოზე განიხილებოდა მოქმედი ავტორიზებული დაწესებულებების პროგრამების დამატების საკითხები და არა ახალი ავტორიზაციები. ნანა ჭილაძემ აღნიშნა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო არ იყო უფლებამოსილი მიემართა საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭოსთვის პროგრამების აკრედიტაციის შუამდგომლობით. კონკრეტულ საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს უფლება სურვილის შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილი წესით მიმართოს აკრედიტაციის საბჭოს.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი საკითხები პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს უნდა განეხილა.

ჯუმბერ გაბრიელაშვილმა აღნიშნა, რომ საბჭოს უნდა დაეწესებინა რეგლამენტი თითოეული საკითხის განსახილველად.

ალექსანდრე ეჯიბაძემ აღნიშნა, რომ შეიძლება საბჭოს ჯერ განეხილა საქართველოს რეგიონებში განთავსებული დაწესებულებებთან დაკავშირებული საკითხები და შემდგომ თბილისში განთავსებულების.

ჯუმბერ გაბრიელაშვილმა აღნიშნა, რომ საბჭოს დაჭირდებოდა კონკრეტულ დაწესებულებასთან დაკავშირებული ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება, სადაც იქნებოდა მითითებული ინფორმაცია პროფესიულ სტუდენტთა მაქსიმალური კონტიგენტის, ფართის ოდენობისა და პროგრამების შესახებ.

ნანა ჭილაძემ აღნიშნა, რომ ცენტრის ვებ-გვერდზე ყველა ეს ინფორმაცია, მათ შორის ავტორიზაციის საბჭოს ოქმები და გადაწყვეტილებები იყო განთავსებული.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს წევრებს ჰქონდათ გარკვეული რეკომენდაციები რომელთა დაფიქსირებაც სურდათ ოქმში, რათა შემდგომში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, ავტორიზაციის პროცესის გაუმჯობესების მომენტში ეს გაეთავალისწინებინა.

1) პროფესიული სტანდარტში უნდა გაიწეროს პროგრამისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის აღწერილობა;

2) პროფესიულ სტუდენტთა ადგილების განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნას თითოეულ პროგრამაზე მისაღები კონტიგენტი და მათი ჯამის შესაბამისად განისაზღვროს საბოლოო კვოტა.

კახა ერაძემ აღნიშნა, რომ პროფესიული სტანდარტები რა თქმა უნდა არსებობს, უბრალოდ საუბარი იყო, მხოლოდ სპეციალური პროგრამებისათვის მატერიალური რესურსის მინიმალური აღწერილობის სტანდარტში განთავსებაზე.

ლალი ებანოძემ აღნიშნა, რომ სტანდარტების განახლება მიმდინარეობდა და აღნიშნულის გათვალისწინება მარტივად იყო შესაძლებელი.

საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი წარმოდგენილ რეკომენდაციებს.

ჯუმბერ გაბრიელაშვილმა აღნიშნა, რომ დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში უნდა შესულიყვნენ დარგის ექსპერტები, რომ მათ უფრო უკეთ შეემოწმებინათ პროფესიული პროგრამები.

ლალი ლოღელიანმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში უნდა ყოფილიყო ავტორიზაციის სტანდარტების მცოდნე ექსპერტი, რის გამოც ცოტა გამწვანდებოდა ამ რეკომენდაციის მიღება.

ჯუმბერ გაბრიელაშვილმა აღნიშნა, რომ შესაძლებელი იქნებოდა ჯგუფის თავმჯდომარე ყოფილიყო ავტორიზაციის ექსპერტი დანარჩენები კი დარგის ექსპერტები.

კახა ერაძემ აღნიშნა, რომ ის ამ რეკომენდაციას ვერ გაიზიარებდა, რადგანაც, კონკრეტული დარგის სპეციალისტების მიერ პროგრამების შემოწმებას ითვალისწინებდა აკრედიტაციის პროცესი. ასეთი ტიპის გადაწყვეტილება ფუნდამენტურ ცვლილებებს მოითხოვდა ავტორიზაციის დებულებასა და შესაბამის საკანონმდებლო აქტებში.

წარმოდგენილ რეკომენდაციას მხარი დაუჭირა საბჭოს ექვსმა წევრმა, წინააღმდეგი წავიდა კახა ერაძე.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-სათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;

2. შპს - სიოსთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა;
3. შპს - ლაზიკასთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
4. შპს - არსისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
5. შპს - ხარისხის მართვის საზოგადოებრივი კოლეჯისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
6. შპს - წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის საზოგადოებრივი კოლეჯისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა;
7. ა(ა)იპ - ადამიანი და ბუნებისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა;
8. შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ „კავკასიონისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
9. სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „მოდუსისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ ყოფილა. საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.



1. შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-სთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

საკითხის განხილვის დაწყებამდე, საბჭოს წევრმა კახაბერ ერაძემ განახორციელა თვითაცილება, რადგანაც ის წარმომადგენდა აღნიშნულ დაწესებულებას და საქართველოს კანონდებლობის გათვალისწინებით ის ვერ მიიღებდა მონაწილეობას საკითხის განხილვაში.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფეტვიაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ექსპერტების მიერ გადამოწმა ოფისის მენეჯერის მეოთხე საფეხურის და აუდიტორის ასისტენტის მეოთხე საფეხურის პროფესიული პროგრამები, ექსპერტთა ჯგუფს ხარვეზი არ დაუფიქსირებია.

ჯუმბერ გაბრიელაშვილი დაინტერესდა, რამ განაპირობა პროგრამის დამატება და როდის გაიარა დაწესებულებამ ავტორიზაცია.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA 2011 წლიდან არის ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც საკუთარი მისიის შესაბამისად ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს ბიზნეს ადმინისტრირების მიმართულებით. დაწესებულებას უკვე ჰქონდა დამტკიცებული პროგრამების წინა საფეხურები, რომლის კურსდამთავრებულებს უნდა გაეგრძელებინათ სწავლა ზედა საფეხურზე. შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ს პროფესიულ სტუდენტთა მაქსიმალური ოდენობა ჰქონდა განსაზღვრული 669 პროფესიული სტუდენტით და ამჟამად ახორციელებდა 7 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას.

ალექსანდრე ეჯიბაძემ აღნიშნა, რომ ფართი იძლეოდა შესაძლებლობას ამ პროგრამების განხორციელებისათვის. იგი დაინტერესდა ადამიანურ რესურსთან მიმართებით რა მდგომარეობა იყო.

ექსპერტმა, ნინო ფეტვიაშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში იყო დაფიქსირებული, რომ მატერიალური და ადამიანური რესურსი შეესაბამებოდა ავტორიზაციის სტანდარტებს. ექსპერტებმა შეაფასეს დაწესებულებიდან გამოთხოვილი ინფორმაცია.

ხათუნა ჩხაიძე დაინტერესდა, რამდენი პროფესიული სტუდენტი ჰყავდა დაწესებულებას.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, კოლეჯში ამ ეტაპზე იყო 47 მოქმედი პროფესიული სტუდენტი.

ლალი ლოდელიანმა აღნიშნა, მსგავსი ფორმატით პროგრამების დამტება, იყო პოზიტიური მოვლენა, რაც ნამდვილად დასაფასებელი იყო და ემსახურებოდა დაწესებულების განვითარებას.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ოფისის მენეჯერის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აუდიტორის ასისტენტის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/6 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30¹ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 406037550) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	ოფისის მენეჯერი	მეოთხე	ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტის) მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
2	აუდიტორის ასისტენტი	მეოთხე	აუდიტორის ასისტენტის მეოთხე საფეხურის პროფესიული ვალიფიკაცია	60

2. შპს - სიოსათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა შორენა ჯაფარიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ექსპერტების მიერ გადამოწმდა კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, მან ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შეზღუდვებზე, ხარვეზებსა და რეკომენდაციებზე.

კახა ერაძე დაინტერესდა რა განსხვავება იყო შენიშვნასა და ხარვეზს შორის.

შორენა ჯაფარიძის განმარტებით, ექსპერტებმა დასკვნაში ხარვეზად დააფიქსირეს ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევა, შენიშვნად ნაკლებად მნიშვნელოვანი დარღვევები, რომლითაც არ ირღვევა ავტორიზაციის სტანდარტები.

დაწესებულების ხელმძღვანელის განმარტებით, კბილის ტექნიკოსის პროგრამის შემოწმება დაწესებულებაში ვიზიტის განხორციელების გარეშე არ უნდა მომხდარიყო, რადგანაც ადგილზე უნდა შემოწმებულიყო პროგრამისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი.

დაწესებულების წარმომადგენელმა პროგრამის ხანგრძლივობასთან დაკავშირებულ ხარვეზზე აღნიშნა, რომ ხარვეზი გამოსწორებული იყო და პროგრამაში მითებული იყო პროგრამის ვადა.

საბჭოს წევრმა, კახა ერაძემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენლებს, თუ როგორ უნდა ემუშავა საბჭოს გაეთვალისწინებინა თუ არა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი გამოსწორების დოკუმენტაცია.

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა ნანა ჭილაძემ, აღნიშნა, რომ ცენტრმა კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღო გადაწყვეტილება თვითშეფასების ანგარიშით წარმოდგენილი პროგრამების ცენტრში შესწავლასთან დაკავშირებით. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების 30¹ მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად: საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების შემოწმება ხორციელდება ცენტრის მიერ, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში ცენტრის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ. ცენტრმა გაითვალისწინა, ის ფაქტი, რომ დასამატებლად წარმოდგენილი იყო 100-ზე მეტი პროგრამა, მცირე პერიოდში ვიზიტების დაგეგმვა იქნებოდა რთული, ამავდროულად ცენტრში ხელშეკრულებით აყვანილი ავტორიზაციის ექსპერტები ადგილზე ერთიანი მიდგომებით შეამოწმებდნენ პროგრამებს და არათანაბარ მდგომარეობაში არ აღმოჩნდებოდა არცერთი დაწესებულება. ნანა

ჭილაძემ აღნიშნა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების 31 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, თვითშეფასების გზით წარმოდგენილი პროგრამების შემოწმება ხორციელდება ამ დებულების II-IV თავებით განსაზღვრული წესით, ამ მუხლის მე-3 პუნქტში მოცემული თავისებურების გათვალისწინებით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცენტრი უფლებამოსილი იყო ვიზიტის განხორციელების გარეშე შეემოწმებინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, ხოლო შემოწმება კი ავტორიზაციის დებულებით უნდა განხორციელებულიყო.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ ავტორიზაციის დებულება ამ უფლებამოსილებას ანიჭებდა ცენტრს, შესაბამისად, პროგრამების შეფასება უნდა განხორციელებულიყო ცენტრში თვითშეფასებასთან ერთად წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით.

ნანა ჭილაძემ განამარტა, რომ თუ საბჭო მიიჩნევდა, რომ საკითხი სრულყოფილად არ იყო გამოკვლეული, არსებობდა შესაძლებლობა, რომ საბჭოს ცენტრისთვის დაევალებინა დაწესებულებაში ვიზიტის განხორციელება.

კახა ერაძე დაინტერესდა, როდის გამოასწორა დაწესებულებამ შენიშვნები, მას შემდეგ რაც ექსპერტთა დასკვნა მიიღეს თუ მანამდე?

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით შენიშვნები იყო გამოსწორებული და მან მიმართა საბჭოს წევრებს კითხვით აზრი ჰქონდა თუ არა მათ წარმოდგენას?

საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით საბჭოს საკითხი სრულყოფილად უნდა გამოეკვლია, შესაბამისად ის მოისმენდა, როგორც ექსპერტების, აგრეთვე დაწესებულების პოზიციას.

ექსპერტმა შორენა ჯაფარიძემ წაიკითხა ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაფიქსირებული ხარვეზები და შენიშვნები.

საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

პროგრამაში არ არის მითითებული სწავლის ხანგრძლივობა;

სასწავლო გეგმიდან და სილაბუსებიდან შეუძლებელია კურსების სწავლების თანმიმდევრობის დადგენა.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობად მითითებულია - „საბაზო განათლება“, რაც არ არის კორექტულად ფორმულირებული, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად უნდა იყოს - „ზოგადი განათლების საბაზო საფეხური“.

პროგრამაში წარმოდგენილი „პროგრამაზე დაშვების წინაპირობა“ და „შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობის პირობები“ არ შეესაბამება 2013 წლის 15 ივლისის „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილ ცვლილებებს (მუხლი 7), რომლის მიხედვით პროფესიული განათლების მიღების უფლება აქვს პირს „ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის, პროფესიული ტესტირების ჩაბარებისა და პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილების საფუძველზე, უფლება აქვს, მიიღოს პროფესიული განათლება პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების“ თუმცა კანონში აღნიშნული ცვლილებები შევიდა დაწესებულების მიერ თვითშეფასების გამოგზავნის შემდეგ.

პროგრამაში არ არის წარმოდგენილი შეფასების მეთოდები;

პროგრამაში მითითებულია, რომ სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევისათვის შემუშავებულია სწავლების ადეკვატური მეთოდები, თუმცა ეს მეთოდები

დასათაურებელია როგორც „სწავლის მეთოდები“, რაც ტექნიკურ შეცდომად შეიძლება ჩაითვალოს

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ ატარებს ზოგად ხასიათს, არ არის დაკონკრეტებული.

რიგ შემთხვევებში პროგრამის „სწავლის შედეგების რუქაში“ არ არის ასახული ყველა ის კომპეტენცია, რომელსაც პროფესიული სტუდენტი რეალურად იძენს აღნიშნული კურსის შესწავლის შედეგად. ასე მაგალითად, „ინგლისურის“ კურსისთვის არ არის მითითებული „ცოდნისა და გაცნობიერების უნარი“.

სილაბუსებში გამოვლენილი ხარვეზები:

არცერთ სილაბუსში არ არის მოცემული სწავლის ხანგრძლივობა, შესაბამისად არ დგინდება რა პერიოდში ისწავლება კონკრეტული კურსი;

არც ერთ სილაბუსში, პრაქტიკის სილაბუსის ჩათვლით, არ არის წარმოდგენილი კურსზე დაშვების წინაპირობა, არ ჩანს რა თანმიმდევრობით ისწავლება კურსები პარალელურად თუ ერთმანეთის მონაცვლეობით;

„ბიოეთიკის“ სასწავლო კურსის სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურა წარმოდგენილია ერთი წიგნის სახით, რომელიც რუსულ ენაზეა, ხოლო მისი ქართულ ენაზე გადათარგმნილი ვარიანტი არ არის წარმოდგენილი;

სასწავლო კურსის „მასალათმცოდნეობა ორთოპედიულ სტომატოლოგიაში“ სილაბუსში სწავლების მეთოდებში მითითებულია სემინარი, რომელიც არ ფიქსირდება კურსის შინაარსში;

ინგლისური ენის სილაბუსში და პროგრამაში დაფიქსირებული საკონტაქტო საათების რაოდენობა 24 საათის ტოლია, ხოლო კურსის შინაარსში, ცალკეულ თემებზე განკუთვნილი საკონტაქტო საათების ჯამი 46 საათს შეადგენს;

სასწავლო კურსების „კბილის ტექნიკოსის საქმე“ „მასალათმცოდნეობა ორთოპედიულ სტომატოლოგიაში“, „ადამიანის ნორმალური ანატომიურ-ფიზიოლოგიური საფუძვლები“. სილაბუსებში არ არის დაკონკრეტებული პრაქტიკული მეცადინეობები ჩატარების ადგილი, კერძოდ კოლეჯი „სიო“ თუ შპს „მოლარი“-ის ბაზაზე, რომელთანაც დაწესებულებას დადებული აქვს „სტუდენტების პრაქტიკული უნარ-ჩვევების ათვისების“ შესახებ ხელშეკრულება ერთი წლის ვადით.

სასწავლო კურსების სილაბუსებში არ არის წარმოდგენილი დეტალური ინფორმაცია თუ როგორ ხდება შეფასების ცალკეული კომპონენტების ფარგლებში ქულების გადანაწილება, კერძოდ, თითქმის ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში შეფასება 3 კომპონენტს მოიცავს: დასწრება-აქტიურობა, შუალედური და დასკვნითი შეფასება. თითოეულ მათგანს შესაბამისი ქულების რაოდენობა აქვს მინიჭებული. გაურკვეველია როგორ ნაწილდება დასწრება-აქტიურობის ჯამური ქულა თითოეული კვირის (დღის, მეცადინეობის) განმავლობაში; ან როგორ ნაწილდება წერიტი და ზეპირი ფორმით ჩატარებისას შუალედური და დასკვნითი გამოცდების ქულები.

სილაბუსებში მითითებულია, რომ უარყოფითი შეფასების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით „გამოცდაზე ერთხელ გადაბარების უფლება“ და არ არის მითითებული, რომ ეს უნდა მოხდეს არანაკლებ 10 დღეში, როგორც ამას ითვალისწინებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბერის №121/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ მუხლი 4-ის, პუნქტი 5., თუმცა აღნიშნული მოთხოვნა სრული სახით წარმოდგენილია პროგრამაში.

ვებ-გვერდის გადამოწმებით დაფიქსირდა შემდეგი ხარვეზი – ინფორმაცია კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ კატალოგში არ არის წარმოდგენილი.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე (საინვენტარო წიგნის ერთი დასკანერებული ფურცელი და ფოტო) შეუძლებელია დადასტურდეს კოლეჯის ფარგლებში სასწავლო კურსების „კბილის ტექნიკოსის საქმე“, „მასალათმცოდნეობა ორთოპედიულ სტომატოლოგიაში“ პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარების შესაძლებლობა.

სილაბუსებში წარმოდგენილი ლიტერატურის გადამოწმებით დადგინდა, რომ დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი არ შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას. კერძოდ, წიგნების ჩამონათვალში არ არის წარმოდგენილი 4 (ოთხი) სილაბუსში მითითებული ძირითადი ლიტერატურის შემდეგი წიგნები:

„ზ.საყვარელიძე, ნ.საყვარელიძე, "ორთოპედიული სტომატოლოგია", თბილისი 2009, სასწავლო კურსების სილაბუსები – „ადამიანის ნორმალური ანატომიურ-ფიზიოლოგიური საფუძვლები“, „კბილის ტექნიკოსის საქმე“, „მასალათმცოდნეობა ორთოპედიულ სტომატოლოგიაში“)

„საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება, „პირველი დახმარება“, თბილისი 1999 წ.“ სალექციო კურსი – სასწავლო კურსის სილაბუსი „პირველადი სამედიცინო დახმარება“

ხელშეკრულება შპს „მოლარი“-სთან დადებულია 2013 წლის 24 მაისს მხოლოდ 1 წლის ვადით, რაც მომდევნო წლებში შეიძლება სასწავლო პროცესის მდგრადობის შემაფერხებელი მიზეზი გახდეს.

დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი არ მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულ ლიტერატურას ელექტრონულ მატარებლებზე.

შენიშვნა 1: ცალკეულ სასწავლო კურსებზე გათვალისწინებული დამოუკიდებელი საათების რაოდენობა რიგ შემთხვევებში ბევრად აღემატება საკონტაქტო საათების რაოდენობას, განსაკუთრებით სპეციალური კურსების შემთხვევაში. მაგალითად, სასწავლო კურსისთვის „პირველადი სამედიცინო დახმარება“ ლექცია/პრაქტიკული – მხოლოდ 30%-ს შეადგენს, ხოლო დამოუკიდებელი საათების რაოდენობა 66%-ს ტოლია; „კბილის ტექნიკოსის საქმე“ – 40%- 58%;

შენიშვნა 2: წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობის შედეგად, ექსპერტებმა დააფიქსირეს შემდეგი შენიშვნა: დაწესებულების მიერ შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა ფორმალურად აკმაყოფილებს ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს, თუმცა მოითხოვს გადახედვას და შემდგომ განვითარებას დასკვნის პუნქტი 5-ში წარმოდგენილი რეკომენდაციების გათვალისწინებით.

გამოვლენილი ხარვეზების რაოდენობის და მათი მნიშვნელოვნების გათვალისწინებით, ექსპერტები თვლიან, რომ შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „სიოს“ მიერ წარმოდგენილი კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა პრობლემურ ხასიათს ატარებს, ამიტომ დაწესებულებას უარი უნდა ეთქვას აღნიშნული პროგრამის დამატებაზე.

კახა ერაქემ განმარტება მოითხოვს მესამე ხარვეზთან დაკავშირებით.

შორენა ჯაფარიძის განცხადებით პროგრამაში დაშვების წინაპირობად მითითებული ჰქონდათ ის მოთხოვნები, რომლებიც პროფესიულ განათლების შესახებ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად შეიცვალა.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს, წარმოდგენილი ხარვეზიდან ყველა იყო თუ არა მნიშვნელოვანი.

შორენა ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ 13 ხარვეზი იყო მნიშვნელოვანი, რომელიც პირდაპირ წარმოდგენდა ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევას.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით ხარვეზების უმრავლესობა გამოსწორებულია, ნაწილს კი დაწესებულება არ ეთანხმებოდა,

კახა ერაძემ აღნიშნა, რომ სილაბუსებში უნდა ყოფილიყო მითითებული დაშვების წინაპირობები, მათ შორის პრაქტიკის სილაბუსში - კონკრეტული საგანი. არ არის სწორი როდესაც დაშვების წინაპირობად მითითებულია თეორიული კურსების შესწავლა.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით ამჟამად ხარვეზი გამოსწორებულია. მან ასევე განმარტა, რომ კოლეჯის გვერდით შენობაში არსებობდა კარგი მატერიალური ბაზა კბილის ტექნიკოსის პროგრამისათვის, რომელიც სტუდენტებს აძლევდა საშუალებას კარგი პრაქტიკა გაეცლოთ.

კახა ერაძემ კიდევ ერთი კომენტარი გააკეთა, დაწესებულების პროგრამების ცენტრში შესწავლასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე, ცენტრს თავისუფლად შეეძლო პროგრამის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

საბჭოს წევრმა ლალი ლოდელიანმა აღნიშნა, რომ პროგრამას ჰქონდა უამრავი ხარვეზი, მისთვის დასკვნის გაცნობის მომენტისთანავე ნათელი გახდა, რომ კარგი მატერიალური ბაზა ავტომატურად არ ნიშნავს, კარგ პროგრამას. დაწესებულებას შეეძლო ხარვეზების გამოსწორება, თუმცა არა ამ წარმოების ფარგლებში. მას როგორც საბჭოს ერთ წევრს გაუჭირდებოდა დადებითი გადაწყვეტილების მიღება პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს მიმართა, რომ ექსპერტებს შენიშვნების დიდ ნაწილზე ეწერათ, რომ ხარვეზი არ იყო არსებითი.

შორენა ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ ხარვეზების ნაწილი იყო უმნიშვნელო. დასკვნაში ასევე იყო საუბარი რეკომენდაციებზე, რომლებიც უფრო აკრედიტაციის სტანდარტებს ეხებოდა, თუმცა ექსპერტებმა მაინც აღნიშნეს, რათა დაწესებულებას, მომავალში ჰქონდეს შესაძლებლობა დახვეწოს პროგრამა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ცენტრის ფუნქციაა დაეხმაროს დაწესებულებებს ხარისხის განვითარებაში და პირიქით არ შეუშალოს ხელი. საზოგადოებრივ კოლეჯ სიოს დიდი გამოცდილება ჰქონდა პროგრამების კეთების და საქმიანობის, ყველა ხარვეზი იყო გამოსწორებული და უარის თქმის საფუძველი არ არსებობდა.

ლალი ლოდელიანმა აღნიშნა, რომ პროგრამას იმდენი ხარვეზი ჰქონდა, რომ მისი დამატებაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელი იყო.

დაწესებულების ხელმძღვანელმა პროტესტი გამოთქვა საბჭოს მიმდინარეობასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ საკითხის განხილვამდე, მან იკითხა აზრი ჰქონდა თუ არა საკითხის განხილვას. თუ საბჭოს წევრები ხარვეზებს იზიარებდნენ და უარყოფითი გადაწყვეტილების მიღებას აპირებდნენ, რატომ არ ითქვა ეს თავიდანვე.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს ფუნქცია იყო მოესმინა ორივე მხარისთვის და ისე მიეღო გადაწყვეტილება.

კახა ერაძემ თქვა, რომ სამწუხარო იყო, რომ ყველა ხარვეზზე მოსაზრებები არ იქნა მოსმენილი, მიუხედავად იმისა, რომ დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზების ნაწილს ეთანხმებოდა, შეიძლებოდა ყველაზე მსჯელობა.

ჯუმბერ გაბრიელაშვილმა აღნიშნა, რომ წინა სხდომაზე მხოლოდ ერთი შენიშვნისთვის უარი ეთქვა დაწესებულებას პროგრამის დამატებაზე. მიუხედავად იმისა, რომ მისი აზრით ვიზიტის განხორციელება უნდა მომხდარიყო ადგილზე, მაინც უარყოით გადაწყვეტილებას დაუჭერდა ის მხარს, რადგანაც უამრავი შენიშვნა იყო დაფიქსირებული. ადგილზე შეიძლებოდა ექსპერტებს გაესწორებინათ ხარვეზები, ეხლა კი ეს წარმოუდგენელი იყო.

ლიანა ზამბახიძემ აღნიშნა, რომ წინა სხდომაზეც ზუსტად ანალოგიური გადაწყვეტილება მიიღეს ერთ ხარვეზთან დაკავშირებით და უარი უთხრეს დაწესებულებას პროგრამის დამატებაზე.

ალექსანდრე ეჯიბაძემ აღნიშნა, საბჭო კანონს ვერ დაარღვევდა.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 7

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30¹ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს - სიოს (საიდენტიფიკაციო კოდი: 212797945) უარი ეთქვას შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებაზე:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	მესამე	კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60

3. შპს - ლაზიკასთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა ნანა ჭილაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების წარმომადგენლების ზეპირი განცხადებით ისინი ეთანხმებოდნენ ექსპერტთა ჯგუფის შენიშვნებს და არ თვლიდნენ საჭიროდ საკითხი განხილულიყო. რადგანაც ცენტრში არ იყო შემოსული წერილობითი შუამდგომლობა წარმოების შეწყვეტასთან დაკავშირებით, საბჭოს უნდა მიეღო გადაწყვეტილება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს წევრები იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს და იზიარებდნენ მას, შესაბამისად, საკითხის დაყენება კენჭისყრაზე იყო შესაძლებელი.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ფარმაცევტული პრეპარატების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 7

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ამწის მემანქანის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 7

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საბაჟო წარმომადგენლის (სასაქონლო ოპერაციების სპეციალისტის) მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 7

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/6 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის

დებულების” 30¹ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს - ლაზიკას (საიდენტიფიკაციო კოდი: 415085295) უარი ეთქვას შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებაზე:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტი	მესამე	ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
2	ამწის მემანქანე	მესამე	ამწის მემანქანის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	30
3	საბაჟო წარმომადგენელი (სასაქონლო ოპერაციების სპეციალისტი)	მესამე	საბაჟო წარმომადგენლის (სასაქონლო ოპერაციების სპეციალისტი) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60

4. შპს - არსისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ელენე გვენცაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ექსპერტების მიერ გადამოწმა საბაჟო დეკლარირების სპეციალისტის მეორე საფეხურის და კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული პროგრამები, ექსპერტთა ჯგუფს ხარვეზი არ დაუფიქსირებია. რეკომენდაციის სახით კი უნდა ითქვას, რომ შინაგანაწესი უნდა გადაიხედოს. კერძოდ, XV თავი - განათლების საფეხურები. გადასახედიან და დასახვეწიან სწავლების მეთოდები. სასურველია სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას ერქვას სახელი; სასწავლო პრაქტიკის - სასწავლო კურსის წინაპირობაა „შესაბამისი თეორიული მასალის ძირითადი ნაწილის ათვისება“ უმჯობესი იქნება დაკონკრეტდეს რომელი საგნის.

კახა ერაძე დაინტერესდა, იყო თუ არა წარმოდგენილი სილაბუსები პროგრამასთან ერთად.

ელენე გვენცაძემ აღნიშნა, რომ სილაბუსები იყო წარმოდგენილი, თუმცა სასწავლო პრაქტიკის სილაბუსში არ იყო მითითებული რომელი საგნის სასწავლო პრაქტიკა იყო.

საბჭოს წევრმა კახა ერაძემ აღნიშნა, რომ ეს შესაძლებელი იყო.

ელენე გვენცაძის თქმით სასწავლო-პრაქტიკის სილაბუსის შინაარსის გაცნობის გარეშე უნდა ჩანდეს რა სპეციალობაზეა საუბარი, შესაბამისად აღნიშნული წარმოდგენილი იყო, როგორც რეკომენდაცია.

კახა ერაძე დაეთანხმა ექსპერტს.

ჯუმბერ გაბრიელაშვილი დაინტერესდა სად გაივლიდნენ პრაქტიკას პროფესიული სტუდენტები, დასკვნაში საუბარი იყო მემორანდუმზე, რომელიც გაფორმებული იყო შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-სთან. ჯუმბერ გაბრიელაშვილმა აღნიშნა, რომ მემორანდუმის ნაცვლად უნდა ყოფილიყო ხელშეკრულება.

ელენე გვენცაძის თქმით დასკვნაში საუბარი იყო დაწესებულებებთან გაფორმებულ მემორანდუმზე, სადაც შესაძლებელი იქნებოდა პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის გაგრძელება, თუ პროგრამის განხორციელება შეწყდებოდა.

კახა ერაძე დაინტერესდა, თუ რატომ გადაწყვიტა დაწესებულებამ კბილის ტექნიკოსის პროგრამის განხორციელება, როდესაც სხვა პროგრამები დაწესებულებას ბიზნეს ადმინისტრირების მიმართულებიდან ჰქონდა.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით რუსთავეში ჩატარებულმა გამოკითხვებმა აჩვენეს, რომ წარმოდგენილი პროგრამები იყო ბაზარზე მოთხოვნადი.

კახა ერაძე დაინტერესდა დაწესებულების ფართით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ კოლეჯს ჰქონდა 476 კვ.მ ფართი და პროფესიულ სტუდენტთა მაქსიმალური ოდენობა 130. კბილის ტექნიკოსის პროგრამაზე 30-40 სტუდენტის მიღებას გეგმავდა დაწესებულება.

ლალი ლოდელიანმა აღნიშნა, რომ ის ვერანაირ პრობლემას ვერ ხედავდა, დაწესებულებას განსხვავებული პროგრამები რომ ჰქონდა.

კახა ერაძემ აღნიშნა, რომ ეს იყო მისი სუბიექტური მოსაზრება, მისთვის გაუგებარი იყო თუ რატომ უნდა ჰქონოდა მცირე დაწესებულებას ბევრი პროგრამა.

ჯუმბერ გაბრიელაშვილიც დაინტერესდა, თუ რატომ გადაწყვიტა დაწესებულებამ კბილის ტექნიკოსის პროგრამის განხორციელება.

დაწესებულების წარმომადგენელმა კვლავ ისაუბრა გამოკითხვის შედეგებსა და ბაზრის მოთხოვნაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ თუ ბაზრის მოთხოვნა არსებობს პროგრამის განხორციელებაზე, მაშინ პრობლემა არ იყო.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 1

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საბაჟო დეკლარირების სპეციალისტის მეორე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30¹ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს - არსს (საიდენტიფიკაციო კოდი: 216427999) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	კბილის ტექნიკოსი	მესამე	კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
2	საბაჟო დეკლარირების სპეციალისტი	მეორე	საბაჟო დეკლარირების სპეციალისტის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60

5. შპს - ხარისხის მართვის საზოგადოებრივი კოლეჯისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თეა ნადირაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ექსპერტების მიერ გადამოწმა ოფისის მენეჯერის (მდივან რეფერენტის) მესამე საფეხურის და ინტენეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტის) მესამე საფეხურის პროფესიული პროგრამები, ექსპერტთა ჯგუფს ხარვეზი არ დაუფიქსირებია.

ქეთევან ჯაყელი დაინტერესდა იყო თუ არა დაწესებულებაში პროგრამისათვის აუცილებელი შესაბამისი რესურსი.

ექსპერტმა თეა ნადირაძემ განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი ექსპერტთა ჯგუფს არ განუხორციელებია. წარმოდგენილ პროგრამებს განსაკუთრებული მატერიალური რესურსი არ ჰქონდა. ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სტანდარტები დაკმაყოფილებული იყო დანარჩენი რესურსი ავტორიზაციის დროს იქნა შემოწმებული დაწესებულების ავტორიზაციისას.

კახა ერაძემ განაცხადა, რომ დაწესებულება ინფორმაციული ტექნოლოგიების წინა საფეხურის პროგრამას უკვე ახორციელებდა, ხოლო ოფის-მენეჯერის პროგრამის დამატება სტანდარტის მოდიფიცირებამ გამოიწვია, რაც ნიშნავდა იმას, რომ შესაბამისი რესურსი დაწესებულებაში უკვე არსებობდა.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ოფის მენეჯერის (მდივან-რეფერენტის) მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტის) მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30¹ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს - ხარისხის მართვის საზოგადოებრივ კოლეჯს (საიდენტიფიკაციო კოდი: 404885870) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტის) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	მესამე	ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტის) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
2	ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	მესამე	ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტის) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60

საბჭოზე შესვენება გამოცხადდა 20:53
 საბჭოს სხდომა განახლდა - 21:30

6. შპს - წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის საზოგადოებრივი კოლეჯისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა, ციური ღურულმა და თეა ნადირაძემ. ციური ღურულის თქმით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი გიდის მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა იყო არათანმიმდევრული, რაც გამოიხატებოდა შემდეგში: დაზუსტებას მოითხოვდა პროგრამის დამტკიცებაზე უფლებმოსილი ორგანო და მისანიჭებელი კვალიფიკაცია, კურიკულუმში შემავალი კომპონენტები იყვნენ ერთმანეთთან არალოგიკურ ბმაში, შესაბამისად, სტრუქტურა ვერ უზრუნველყოფდა პროგრამით განსაზღვრული მიზნებისა და შედეგების მიღწევადობას. ექსპერტის განმარტებით, წარმოდგენილი პროფესიული პროგრამის დამატება არ იყო რეკომენდირებული ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზების აღმოფხვრის გარეშე. კერძოდ, ექსპერტმა აღნიშნა შემდეგი ხარვეზები:

1) წარმოდგენილი პროგრამა დამტკიცებულია - დაწესებულების დამფუძნებელ პარტნიორთა სხდომაზე. დაწესებულების წესდების მიხედვით კოლეჯის მართვის ორგანოა სასწავლო-მეთოდური საბჭო. „სასწავლო-მეთოდური საბჭო და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განიხილავს კოლეჯის აკადემიურ სტრატეგიებს, ამტკიცებს გეგმებს, სასწავლო პროგრამებს, საგამომცემლო პრიორიტეტებს, ხელს უწყობს სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა პროფესიულ დაოსტატებას, ქმნის სათანადო მიმართულებებს, საგნობრივ გაერთიანებებს და ხელმძღვანელობს მათ მუშაობას“.

დაწესებულების შინაგანაწესის მიხედვითაც კოლეჯის მართვის ორგანოა სასწავლო-მეთოდური საბჭო, რომლის თავმჯდომარეა რექტორი.

„სასწავლო-მეთოდური საბჭო:

- შეიმუშავებს და ამტკიცებს საბჭოს სხდომების ჩატარების პროცედურას;
- განიხილავს დებულებებს ადმინისტრაციული და აკადემიური თანამდებობების დაკავების შესახებ;
- რექტორის წარდგენით განიხილავს და ამტკიცებს ადმინისტრაციული აპარატის სტრუქტურას, სწავლების ფორმებს, სასწავლო გეგმებსა და ცალკეული დისციპლინების პროგრამებს.“

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი პროგრამის დამტკიცებაზე დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოა სასწავლო-მეთოდური საბჭო და არა - დამფუძნებელ პარტნიორთა სხდომა. შესაბამისად, სახეზეა სტანდარტთან შეუსაბამობა, კერძოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის

№99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტთან;

2) პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია ფორმულირებულია შემდეგნაირად: „გიდის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია/ადგილობრივი გიდი“. გიდის პროფესიული სტანდარტის მიხედვით კი, მესამე საფეხურის კურსდამთავრებულს ენიჭება „მესამე საფეხურის გიდის/ადგილობრივი გიდი პროფესიული კვალიფიკაცია“;

3) პროგრამის მოცულობა - შეადგენს 60 კრედიტს, სადაც საერთო დატვირთვის 60% თეორიული კომპონენტია - 36 კრედიტი/900 საათი, 40% - სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის კომპონენტი - 24 კრედიტი (600 საათი). თავის მხრივ, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა გაყოფილია შემდეგნაირად: სასწავლო პრაქტიკა - 12 კრედიტი/300 საათი; საწარმოო პრაქტიკა - 12 კრედიტი/300 საათი (კომპონენტებს შორის განაწილება დასტურდება კურიკულუმის გრაფაში „სასწავლო გეგმა“);

სწავლის ხანგრძლივობა - 2 სემესტრი (46 კვირა), პირველი სემესტრი 19 კვირა გრძელდება, აქედან 15 სასწავლო კვირაა, 4 კვირა გამოცდებს ეთმობა; მეორე სემესტრი 27 კვირიანია, აქედან 15 სასწავლო კვირაა, 4 კვირა გამოცდების, ხოლო საწარმოო პრაქტიკას 8 კვირა ეთმობა. სწავლების ენა - ქართული;

პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასების წესი-100 ქულიანი სისტემით, შეფასებებისათვის გამოიყენება ოთხი ან ხუთი კომპონენტი, მათ შორის დასწრება, აქტიურობა, მოსწრება, ტესტი, შუალედური შეფასება, ინდივიდუალური დავალება და სხვა. თუმცა აქ ჩამოთვლილი აქტივობები ყველა შუალედური შეფასების კომპონენტებია, შესაბამისად დეფინიცია არასწორია;

კურიკულუმის სწავლის შედეგებში აღნიშნულია შემდეგი კომპეტენციები: „ცოდნა და გაცნობიერება - მსოფლიო და რეგიონის ისტორია; მსოფლიო და რეგიონის გეოგრაფია, მდგრადი განვითარებისა და გარემოს დაცვის პრინციპები, იცის შრომის კანონმდებლობა და საქმიანობას აწარმოებს შრომითი ხელშეკრულების ფარგლებში; იცნობს, გააზრებული აქვს და აცნობიერებს - სფეროს კანონმდებლობას ..., შრომის კოდექსს და თავის საქმიანობაში იცავს მას“. ჩამოთვლილი კომპეტენციების გამომუშავება არც ერთი სილაბუსით (თემატიკით, შედეგებით) არ დასტურდება, რაც ნიშნავს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის არათანმიმდევრულ სტრუქტურას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია სემესტრული სწავლებით, სასწავლო კურსები ისწავლება პარალელურ რეჟიმში (და არა კურსაციული სისტემით), ასევე, სასწავლო პრაქტიკა მიმდინარეობს სააუდიტორო მეცადინეობების პარალელურად. მაშინ, როცა პროფესიის მაპროფილებელი სასწავლო კურსის პირველი კვირის თემა არის „ტურიზმისა და სტუმართმასპინძლობის არსი, ძირითადი პრინციპები“, პარალელურ რეჟიმში უტარდებათ „სასწავლო პრაქტიკა-გიდის უფლება-მოვალეობები-1“, რომლის პირველი კვირის თემაა „გიდი და მისი პროფესიული უნარ-ჩვევები“.

პროგრამის სასწავლო გეგმაში სასწავლო კურსები „ინგლისური ენა“ და „სასწავლო პრაქტიკა“ ორსემესტრიან კურსებადაა ასახული, თუმცა, თითოეულ სასწავლო კურსს გააჩნია ორ-ორი სილაბუსი თითოეულ სემესტრზე გაწერილი, მაგ.: „ინგლისური ენა“ (12 კრედიტი) „ინგლისური ენა 1“ (6 კრედიტი) და „ინგლისური ენა 2“ (6 კრედიტი).

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს პროგრამის სტრუქტურის არათანმიმდევრულობაზე. შესაბამისად, სახეზეა სტანდარტთან შეუსაბამობა, კერძოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ

ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტთან;

4) პროფესიული პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილია თანდართული სილაბუსები, რომელთა შედეგები უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტსა და კურიკულუმში გაწერილ ძირითად შედეგებს. კურიკულუმითა და შესაბამისი პროფესიული სტანდარტით განსაზღვრული შედეგები, მაგ.: შრომის კანონმდებლობასთან დაკავშირებული კომპეტენციები დაგეგმილი თემატიკითა და საგნებით არ მიიღწევა. ასევე, სასწავლო კურსების „ინფორმატიკის საფუძვლები“ და „საოფისე პროგრამები“ სილაბუსებში განსაზღვრული „ღირებულებები“ დაგეგმილი თემატიკით არ მიიღწევა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების გათვალისწინებით პროფესიულ სტანდარტთან შესაბამისობა არ დგინდება.

შესაბამისად, სახეზეა სტანდარტთან შეუსაბამობა, კერძოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-6 მუხლის „გ“ ქვეპუნქტთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იგი არ ეთანხმებოდა ექსპერტის მიერ დაფიქსირებულ შენიშვნას და აღნიშნა, რომ წესდების თანახმად, დამფუძვლებელთა კრება იყო უმაღლესი ორგანო, რომელიც ადგენდა დაწესებულებაში ყველა წესს. შესაბამისად, ჩატარდა დამფუძენელთა კრება, რომელსაც ესწრებოდნენ კრების წევრები და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მომუშავე პირები. წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულებაში ამ სახით ჩატარდა გაერთიანებული სხდომა, რომელზეც დამტკიცდა პროგრამები. ამასთან, არ მომხდარა ახალი პროგრამების დამტკიცება, განხორციელდა უკვე არსებული პროგრამების მოდიფიცირება. წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სტანდარტი მეტად დატვირთული იყო და იგი სრულად ვერ დააკმაყოფილებდა მის მოთხოვნებს, ამასთან, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იგი დაეთანხმა ექსპერტს რიგ ხარვეზებთან მიმართებით და გაასწორა პროგრამა სტანდარტის მიხედვით. დაწესებულების წარმომადგენელმა მიმართა კითხვით ექსპერტს, რის საფუძველზე მოხდა იმის დადგენა, რომ სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას ეთმობოდა 12-12 კრედიტი.

ექსპერტმა, ციური დურულმა, განაცხადა, რომ მან იხელმძღვანელა დაწესებულების სასწავლო გეგმით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სავარაუდოდ, ექსპერტმა დაუშვა შეცდომა, ვინაიდან პრაქტიკას ეთმობოდა 3 კრედიტი და შესაბამისად, 75 საათი.

საბჭოს წევრმა, კახაბერ ერაძემ, მიმართა კითხვით ექსპერტს, რა გახდა სადავო ინგლისური ენა 1-ისა და ინგლისური ენა 2-ის სწავლებასთან დაკავშირებით.

ექსპერტმა, ციური დურულმა, განაცხადა, რომ დაწესებულებას მითითებული ჰქონდა, რომ ინგლისური ენა იყო ორსემესტრიანი. სინამდვილეში, არსებობდა ორი დამოუკიდებელი სასწავლო კურსი: ინგლისური ენა 1 და ინგლისური ენა 2. მნიშვნელოვანი იყო ის გარემოება, რომ არსებობდა ორი სხვადასხვა საგანი, სხვადასხვა სილაბუსებით, თუმცა დაწესებულებას მითითებული ჰქონდა იგი ერთ კურსად. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მსგავსი ხარვეზი პრობლემური იქნებოდა სტუდენტებისთვის, რადგან, თუნცად, დიპლომის დანართში სტუდენტის შეფასების მითითება უნდა მომხდარიყო ცალ-ცალკე სემესტრების მიხედვით, როგორც ყველა სხვა დამოუკიდებელ საგნებში; წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ამოსავალი იქნებოდა დაწესებულების მითითება იმის თაობაზე, რომ ინგლისური ენა არის

ერთიანი კურსი, მაშინ ნიშანი უნდა გამოეყვანათ ორი სემესტრის შეფასების საშუალო არითმეტიკულით.

საბჭოს წევრმა, კახაბერ ერაძემ, კვალიფიკაციის ფორმულირებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მსგავსი ხარვეზი საბჭოს არ უნდა გაეზიარებინა, რადგან ასეთი პრეცედენტი იქნებოდა ძალიან ბევრ სხვა დაწესებულებაშიც და შეუძლებელი იქნებოდა ერთიანი მიდგომის დამკვიდრება.

ექსპერტმა, თეა ნადირაძემ, აღნიშნა, რომ იგი არ ეთანხმებოდა საბჭოს წევრის მოსაზრებას, რადგან კვალიფიკაციის ფორმულირების დროს დაშვებული უზუსტობა, შესაძლებელია არ იყო საბჭოსათვის პროგრამის დამატებაზე უარის თქმის საფუძველი, მაგრამ ეს არ ნიშნავდა იმას, რომ ექსპერტს მსგავსი ხარვეზი დასკვნაში არ უნდა დაეფიქსირებინა. ამასთან, ექსპერტმა აღნიშნა, რომ არსებობდა სხვა მნიშვნელოვანი ხარვეზებიც; მაგალითად, ნებისმიერ დაწესებულებაში უნდა არსებობდეს საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებაზე კონკრეტული აქტით განსაზღვრული უფლებამოსილი ორგანო/პირი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მისთვის არ იყო მისაღები დაწესებულების წარმომადგენლის განმარტება იმის თაობაზე, რომ პარტნიორთა კრება ადგენდა შპს-ში ყველა წესს. შესაძლებელია, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და შპს-ის წესდების თანახმად, პარტნიორთა კრება იყო შპს-ის უმაღლესი ორგანო, მაგრამ ეს მას არ ანიჭებდა, ავტომატურად, დამატებითი რეგულაციების გარეშე, პროგრამების დამტკიცების უფლებას. წარმომადგენლის განმარტება მისაღები იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულებაში მოქმედი რაიმე აქტით იქნებოდა განსაზღვრული დამფუძნებელთა კრების შესაბამისი უფლებამოსილება, რომლის თანახმად, პროგრამის დამტკიცებას დაწესებულებაში მოახდენდა დამფუძნებელთა - გაერთიანებული სხდომა. მოცემულ შემთხვევაში, მსგავსი რეგულაციის არარსებობის გამო, პროგრამა დამტკიცებული იყო არაუფლებამოსილი ორგანოს მიერ.

ექსპერტმა, აქვე, მიმართა დაზუსტების თხოვნით დაწესებულების წარმომადგენელს, იყო თუ არა ერთიდაიგივე მსოფლიო ისტორია და მსოფლიო კულტურის ისტორია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ისტორიაში სკოლაშიც კი, არ იკითხება არც ერთი თემა, რომელიც არ იქნება კავშირში რეგიონთან ან მსოფლიო ისტორიასთან. შესაბამისად, ამ შემთხვევაშიც, აღნიშნული საგანი ისწავლებოდა გიდისათვის საჭირო კონტექსტში.

ექსპერტმა, თეა ნადირაძემ, განმარტა, რომ საგნის თემატიკიდან მსგავსი კონტექსტი არ გამოიკვეთა. ექსპერტმა დამატებით აღნიშნა, რომ იგი არ აპელირებდა მსოფლიო ისტორიის ცალკე საგნად არსებობაზე, რადგან ექსპერტებისათვის მისაღები იქნებოდა, თუ აღნიშნული თემატიკა გადანაწილებული იქნებოდა სხვა რომელიმე საგანში.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მსოფლიო ისტორიის თემატიკა შეტანილ იქნებოდა მსოფლიო კულტურის ისტორიაში; თუმცა წარმომადგენელმა დააფიქსირა მოსაზრება, რომ გიდისთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო მსოფლიო კულტურის ისტორია, ვიდრე მსოფლიო ისტორია.

ექსპერტმა, თეა ნადირაძემ, განაცხადა, რომ იგი ვერ შევიდოდა ამ საკითხზე დისკუსიაში, რადგან მისთვის ამ ეტაპზე, მნიშვნელოვანი იყო მხოლოდ სტანდარტის მოთხოვნები.

სტანდარტის მოთხოვნებთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ მისთვის გაუგებარი იყო, თუ რატომ უნდა სცოდნოდა გიდს შრომის კანონმდებლობა.

ექსპერტმა, თეა ნადირაძემ, განაცხადა, რომ სტანდარტის მოთხოვნის პარალელურად, იგი პირადად ემხრობოდა იმ მოსაზრებას, რომ შრომის კანონმდებლობა უნდა სცოდნოდეს არამხოლოდ გიდს, არამედ - ნებისმიერ პიროვნებას. ამასთან, ის გარემოება, რომ არც ერთი სილაბუსის შედეგი არ გადიოდა კანონმდებლობის ცოდნაზე, არღვევდა სტანდარტის მოთხოვნას.

ექსპერტმა, თეა ნადირაძემ, საბჭოს წინაშე კომენტარი გააკეთა სასწავლო პრაქტიკასთან დაკავშირებით დაფიქსირებულ ხარვეზებზე და განმარტა, რომ თანმიმდევრული სტრუქტურა გულისხმობდა თანმიმდევრულ წყობას, რომლითაც მიიღწევა სწავლის შედეგები. მოცემულ შემთხვევაში, გაუგებარი იყო, თუ სწავლებას სტუდენტი იწყებდა ერთ კონკრეტულ დღეს და ამავე კვირაში იგი გადიოდა პრაქტიკას, მაშინ როდესაც ჯერ არ გააჩნდა დარგის ელემენტარული ცოდნა, როგორ უნდა მიეღწია მას პრაქტიკით გათვალისწინებული შედეგისათვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პრაქტიკა ორიენტირებული იყო თეორიული ცოდნის მიღებასა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ მას კარგად ჰქონდა გააზრებული სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის არსი, კერძოდ, სასწავლო პრაქტიკა მიმდინარეობდა დაწესებულების შიგნით, ხოლო საწარმოო პრაქტიკა - მის გარეთ. პრაქტიკის მეშვეობით სწავლება იყო შეუძლებელი; სწავლება შესაძლებელია მომხდარიყო სწავლების პრაქტიკული მეთოდით, მაგრამ არა - სასწავლო პრაქტიკის გამოყენებით.

ექსპერტმა, თეა ნადირაძემ, აქვე განმარტა, რომ აკადემიური ხარისხი, ავტომატურად, არ გულისხმობდა პროფესიულ პროგრამაზე სწავლებისათვის შესაბამისი კვალიფიკაციის ქონას, რადგან მსგავსი პროგრამის განმახორციელებელი პირები უნდა ყოფილიყვნენ პრაქტიკოსები და არა - თეორიტიკოსები; ისევე, როგორც უნდა გამიჯნულიყო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა.

საბჭოს წევრმა, ლალი ღოღელიანმა, აღნიშნა, რომ მისასაღმებელი იყო, როდესაც საბჭო ისმენდა ექსპერტისაგან საკითხის ასეთ ღრმა ანალიზს, რადგან ექსპერტის სიტყვაში დაფიქსირებული მოსაზრებები, მნიშვნელოვანი იყო არამხოლოდ კონკრეტულ საქმესთან კავშირში, არამედ განზოგადებულად. საბჭოს წევრები, კახაბერ ერაძე და ჯუმბერ გაბრიელაშვილი, დაეთანხმნენ ლალი ღოღელიანის შეფასებას ექსპერტის მიერ საკითხის სიღრმისეულად და დამაჯერებლად წარმოდგენასთან დაკავშირებით.

ცენტრის წარმომადგენელმა, ნანა ჭილაძემ, განაცხადა, რომ ცენტრი მიზნად ისახავდა, სწორედ, მსგავსი განზოგადებული მიდგომების ამსახველი დოკუმენტის შემუშავებას, რაც გარკვეულ წილად, ასევე, იყო ექსპერტთა მუშაობის საბოლოო მიზანი. კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამების შემოწმების დროს ცენტრი უზრუნველყოფდა ექსპერტებს შორის აქტიურ კომუნიკაციასა და აზრთა გაცვლა-გამოცვლას, ხოლო წარმოდგენილი პროგრამების შემოწმების პროცესის დასრულების შემდეგ, ექსპერტთა მიერ მოხდებოდა ყველა მნიშვნელოვან საკითხზე ერთობლივი ფართო რეკომენდაციების შემუშავება, რომელსაც საბოლოო სახით დაამტკიცებდა ცენტრის დირექტორი საკუთარი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

თავჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ სურდა რაიმე საკითხთან დაკავშირებით საკუთარი აზრის დაფიქსირება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იგი უკმაყოფილო იყო მოქმედი სტანდარტით. პროგრამის მოქმედი სტანდარტთან სრულ შესაბამისობაში მოყვანა

გულისხმობდა, რომ პროგრამა უნდა ყოფილიყო 82 კრედიტიანი, რაც გამოიწვევდა გადასახადის ცვლილებას და შესაბამისად საფრთხე შეექმნებოდა დაწესებულების ბიზნეს ინტერესებს.

თავჯდომარემ აღნიშნა, რომ სტანდარტების დახვეწის პროცესი მუდმივად მიმდინარეობდა, შესაძლებელია სტანდარტი შეცვლილიყო, მაგრამ ამ ეტაპზე, საბჭოს უნდა ეხელმძღვანელა მოქმედი საკანონმდებლო ბაზით.

საბჭომ იმსჯელა შპს - წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის საზოგადოებრივი კოლეჯისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხზე და მიიჩნია, რომ სტანდარტი არ იყო დაკმაყოფილებული.

განსხვავებული მოსაზრება დააფიქსირა, საბჭოს წევრმა, ხათუნა ჩხაიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ საბჭოს სხდომის მიმდინარეობის დროს, მას გაუჩნდა პირადი სიმპათია დაწესებულების წარმომადგენლის მხრიდან, რაც გამოწვეული იყო საკითხის სიღრმისეული ცოდნითა და ყველა იმ პრობლემის დასახელებით, რაც დაწესებულების წინაშე იდგა იმისათვის, რომ მას სტანდარტი დაეკმაყოფილებინა; კერძოდ, ის რომ დაწესებულების წარმომადგენელმა კონკრეტულად განმარტა, რომ პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობის მიღწევა შესაძლებელი იყო მხოლოდ 82 კრედიტის ფარგლებში, რომ სტანდარტი იყო გადასახედი და ასევე, გაუგებარი იყო, თუ რა პრინციპით მოეთხოვებოდა გიდს შრომის კანონმდებლობის ცოდნა, მაშინ როდესაც სხვა პროგრამების სტანდარტით აღნიშნული მოთხოვნა არ იყო გათვალისწინებული. ხათუნა ჩხაიძემ დამატებით განაცხადა, რომ მისთვის, პირადად, სტანდარტი არავის გაუცვნია.

საბჭოზე დამსწრე პირთაგან, სიტყვა ითხოვა ნინო ბერელიძემ, რომელმაც ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამების სამსახურის სახელით განაცხადა, რომ მსგავსი უკმაყოფილება სტანდარტებთან დაკავშირებით არ შეიძლება გამართლებულად ყოფილიყო მიჩნეული. ნინო ბერელიძის თქმით, სავარაუდოდ, თავად ცენტრის ბრალი იყო, რომ დაწესებულებებს ჰქონდათ მსგავსი შეფასებები. ცენტრმა არსებულ სტანდარტებს მისცა იმგვარი ფორმა, რომ იგი იძლეოდა პროგრამაში ავტომატურად გადაკოპირების შესაძლებლობას, რასაც უმეტესწილად მიმართავდნენ დაწესებულებები. სტანდარტი კი, თავისი არსით იყო მინიმალური მოთხოვნა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულებას გააზრებული ჰქონდა კონკრეტული პროგრამის არსი, მას შეეძლო დადგენილ სტანდარტზე გაცილებით უფრო მაღალი დონის პროგრამის შექმნა, რაც ნორმალური პროცესი იქნებოდა. იმ შემთხვევაში კი, როდესაც პროგრამა ვერ აკმაყოფილებდა სტანდარტს, ანუ მინიმალურ მოთხოვნებს, დაწესებულებას უნდა გაჩენოდა პრეტენზია არა სტანდარტის, არამედ პროგრამის მიმართ. ნინო ბერელიძემ დამატებით აღნიშნა, რომ ცენტრი, ამ ეტაპზე, მუშაობდა სტანდარტებისათვის იმგვარი ფორმის მიცემაზე, რომელიც დაწესებულებებს არ მისცემდა მისი პროგრამაში ავტომატურად გადატანის შესაძლებლობას, რაც რეალურად წარმოაჩენდა იმას, თუ რომელ დაწესებულებას რა დონის პროგრამის შექმნაზე შეიძლება ჰქონოდა ჯანსაღი ამბიციის.

ცენტრის წარმომადგენელმა, ნანა ჭილაძემ, დამატებით აღნიშნა, რომ სტანდარტი წარმოადგენდა ოფიციალურ დოკუმენტს, რომელიც განთავსებული იყო საჯაროდ, ცენტრის ვებგვერდზე; საბჭოს წევრებს კი, სტანდარტები გადაეცათ ცენტრის მიერ სპეციალურად მათთვის მომზადებულ მასალებთან ერთად.

საბჭოს წევრმა, ხათუნა ჩხაიძემ, დააზუსტა, რომ იგი გულისხმობდა სტანდარტის გაცნობას მისი შემუშავების პროცესში, რადგან მისთვის უცნობი იყო კონკრეტულად რომელი პირები/დამსაქმებლები იღებდნენ მონაწილეობას სტანდარტის შემუშავებაში პროცესში.

ცენტრის წარმომადგენელმა, ნანა ჭილაძემ, აღნიშნა, რომ სტანდარტის შემუშავებასთან დაკავშირებით ცენტრის შესაბამისი სამსახური უზრუნველყოფდა სხდომის ოქმების შედგენას, რომელშიც შესაძლებელი იყო ზემოაღნიშნული ინფორმაციის მოძიება.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შეკითხვა საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ საკითხის ირგვლივ შეკითხვა არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის საზოგადოებრივი კოლეჯისათვის გიდის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 1

წინააღმდეგი - 6

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30¹ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს - წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის საზოგადოებრივ კოლეჯს (საიდენტიფიკაციო კოდი: 404903565) უარი ეთქვას შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებაზე:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	გიდი	მესამე	გიდის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია/ადგილობრივი გიდი	60

7. ა(ა)იპ - ადამიანი და ბუნებისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა ელენე გვენცაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასაჟისტის შესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს და შესაძლებელია მისი დამატება. ამასთან, ელენე გვენცაძის თქმით, ექსპერტთა ჯგუფს გააჩნდა რამოდენიმე რეკომენდაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, კერძოდ:

- 1) სასურველია, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას ერქვას სახელი;
- 2) სასწავლო კურსის დასახელება ერთიდაიგივე უნდა იყოს პროგრამაშიც და სილაბუსშიც (მაგ. სილაბუსში არის ავადმყოფის მოვლა, ხოლო პროგრამის სწავლის შედეგების რუქაში - პაციენტის მოვლა; სილაბუსში ფარმაცოლოგია, ხოლო პროგრამის სწავლის შედეგების რუქაში - ფარმაცოლოგიის საფუძვლები);
- 3) აუცილებელია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების რუქასა და სასწავლო კურსების სილაბუსებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების ზოგად და დარგობრივ კომპეტენციათა თანხვედრა;
- 4) აუცილებელია პროგრამაში მატერიალური რესურსის მითითება;
- 5) დამოუკიდებელი სამუშაო არ არის სწავლების მეთოდი;
- 6) სასურველია, კატალოგი სხვა ფორმით გაკეთდეს, კერძოდ, ერთგვარი რეკლამა იყოს კოლეჯის და არა კოპირებული პროგრამა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იგი სრულად იზიარებდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაფიქსირებულ რეკომენდაციებს. აქვე, წარმომადგენელმა ითხოვა დაკონკრეტება, თუ რას გულისხმობდა რეკომენდაცია იმის თაობაზე, რომ სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას უნდა ერქვას სახელი.

ექსპერტმა, ელენე გვენცაძემ, განმარტა, რომ შესაძლებელია სასწავლო კურსსა და საწარმოო პრაქტიკას ჰქონდეს იდენტური სათაური, ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ სათაურიდან ჩანდეს, თუ რა მიმართულებით გადის პროფესიული სტუდენტი საწარმოო პრაქტიკას, მაგალითად, ეს შეიძლება იყოს სამკურნალო მასაჟი ან სხვა ნებისმიერი სახის მასაჟი.

საბჭოს წევრმა, კახაბერ ერაძემ, სთხოვა ექსპერტს დაეზუსტებინა, იყო თუ არა ზემოაღნიშნული მითითება ხარვეზი.

ექსპერტმა, ელენე გვენცაძემ, განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ დეტალურად იქნა პროგრამა შესწავლილი და მასში ხარვეზი არ დაფიქსირდა, განხილული საკითხები იყო მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის და არ ახდენდა ზეგავლენას ექსპერტთა მიერ პროგრამის დამატების საკითხის პოზიტიურად შეფასებაზე.

საბჭოს წევრმა, ჯუმბერ გაბრიელაშვილმა, მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, რამ განაპირობა ამ ეტაპზე პროგრამის დამატების საკითხის დასმა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას აქამდე გააჩნდა ექთნის თანაშემწის პროფესიული პროგრამა. კოლეჯის დირექტორი პროფესიით გახლდათ მასაჟისტი, მან უკანასკნელ პერიოდში აიმაღლა კვალიფიკაცია და მიიღო ევროპული დონის განათლება, რამაც განაპირობა კოლეჯში მსგავსი პროგრამის შემუშავების იდეის გაჩენა.

საბჭოს წევრმა, ჯუმბერ გაბრიელაშვილმა, მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, აგრძელებდა თუ არა დაწესებულება ექთნის თანაშემწის პროფესიული პროგრამის განხორციელებას და უზრუნველყოფდა თუ არა იგი ამ პროფესიის სტუდენტთა დასაქმებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება აგრძელებდა ექთნის თანაშემწის პროფესიული პროგრამის განხორციელებას, თუმცა დასაქმება იყო საზოგადო პრობლემა, რადგან თავად პოტენციურ დამსაქმებლებს არ ჰქონდათ წარმოდგენა იმის თაობაზე, თუ რა ცონდა და უნარები გააჩნდათ ამ კურსის გავლის შემდეგ სტუდენტებს. შესაბამისად, აღნიშნული იყო გლობარლური პრობლემა, რაც მიუთითებდა, ამ კუთხით, საზოგადოების თვითშეგნების დაბალ დონეზე.

საბჭოს წევრმა, ლალი ლოღელიანმა, აღნიშნა, რომ პროგრამის დამატების სურვილი დამოკიდებული იყო დაწესებულების სუვერენულ ნებაზე, თუმცა მისთვის მიუღებელი იყო ერთ პიროვნებაზე მორგებული გადაწყვეტილებით აღნიშნულის დასაბუთება და უმჯობესი იქნებოდა, თუ დაწესებულება პროგრამის დამატების საკითხს განიხილავდა საზოგადო მოთხოვნილებებიდან გამომდინარე.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იგი იზიარებდა საბჭოს წევრის პოზიციას, თუმცა მისი განმარტება არ ნიშნავდა, რომ გადაწყვეტილება მოერგო ერთ პიროვნებას, მან უბრალოდ, აღნიშნა, ერთ-ერთი განმაპირობებელი მიზეზი იმისა, თუ რატომ გაჩნდა ამ პროგრამის დამატების იდეა.

საბჭოზე დამსწრე პირთაგან, სიტყვის უფლება ითხოვა ნინო ბერელიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ იმ პირობებში, როდესაც ექთანი გადავიდა ბაკალავრიატის საფეხურზე, საზოგადოებისათვის გაუგებარი იყო, რას ნიშნავს ექთნის თანაშემწის პროფესიული კვალიფიკაცია. ა(ა)იპ - ადამიანი და ბუნება წარმოადგენდა თერაპიის სახლოს, რომელიც თავისმხრივ იყო ძალიან მაღალი დონის დაწესებულება და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, თავადვე წარმოადგენდა აქტიურ დამსაქმებელს.

საბჭოს წევრმა, ალექსანდრე ეჯიბაძემ, აღნიშნა, რომ ნინო ბერელიძის განმარტებიდან გამომდინარე, მან გამოიტანა დასკვნა, რომ დაწესებულებას გააჩნდა საჭირო მატერიალური რესურსი.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შეკითხვა საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ საკითხის ირგვლივ შეკითხვა არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ადამიანი და ბუნებისათვის მასაჟისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30¹ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - ადამიანი და ბუნებას (საიდენტიფიკაციო კოდი: 200009613) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	მასაჟისტი	მესამე	მასაჟისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60

8. შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ „კავკასიონისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა შორენა ჯაფარიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო ექვსი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: 1) ინფორმაციული ტექნოლოგიის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა; 2) მოლარის (ბანკის და ა.შ.) მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა; 3) მცირე ბიზნესის მწარმოებლის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა; 4) პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა; 5) ტუროპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა; 6) ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. ექსპერტის განმარტებით, ექვსივე პროგრამაში დაფიქსირდა მსგავსი ტიპის შენიშვნები, თუმცა აღნიშნული შენიშვნების მიუხედავად, მთლიანობაში ექვსივე პროგრამა შეესაბამებოდა პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს და პროგრამის განხორციელების შემთხვევაში მიღწევადი იქნებოდა შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული შედეგები. ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებას ჩაბარდა ექვსივე პროგრამასთან დაკავშირებით ექსპერტთა დასკვნა, სადაც მოცემული იყო როგორც შენიშვნები, ისე რეკომენდაციები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, თუმცა ექსპერტმა, კიდევ ერთხელ, აღნიშნა, რომ ისინი არ ახდენდა ზეგავლენას ექსპერტთა მიერ პროგრამების დამატების საკითხის პოზიტიურად შეფასებაზე.

თავმჯდომარემ მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოდგენილი ექვსი პროგრამიდან, რომელი პროგრამა იყო დაწესებულებისათვის ახალი, ანუ ისეთი, რომელსაც დაწესებულება აქამდე არ ახორციელებდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მსგავსი ტიპის პროგრამა იყო მხოლოდ ორი: ინფორმაციული ტექნოლოგიის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს დაეზუსტებინა, გააჩნდა თუ არა დაწესებულებას პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსი.

ექსპერტმა, შორენა ჯაფარიძემ, განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფს მიზანშეწონილად არ ჩაუთვლია დაწესებულებაში ვიზიტის განხორციელება, შესაბამისად, რესურსი შემოწმდა ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფმა

დაწესებულებისაგან დამატებით გამოითხოვა საჭირო დოკუმენტაცია, რომლის საფუძველზეც დასტურდება დაწესებულების მიერ შესაბამისი მატერიალური რესურსის ფლობა. ექსპერტმა დამატებით აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამებში დაფიქსირებული ხარვეზები არ იყო სერიოზული ხასიათის, იყო შენიშვნები და რეკომენდაციები, რომლებიც თავად დაწესებულებას მისცემდა სწორ მიმართულებას და დაეხმარებოდა შემდგომ საქმიანობაში. შესაბამისად, დაწესებულების მიერ პროგრამების დამატებას ექსპერტთა მხრიდან მიეცა დადებითი შეფასება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მისთვის მისაღები იყო ექსპერტთა შეფასება, იგი ამ შეფასებას იზიარებდა და ადასტურებდა დაფიქსირებული შენიშვნების არსებობას.

საბჭოს წევრმა, კახაბერ ერაძემ, აღნიშნა, რომ დასკვნის საფუძველზე მას დარჩა შთაბეჭდილება, რომ საუბარი იყო ისეთი ტიპის ტექნიკურ უზუსტობებზე, როდესაც კონკრეტული საკითხი არ იყო ასახული სილაბუსში, მაგრამ გათვალისწინებული იყო კურიკულუმით, ხოლო იქედან გამომდინარე, რომ სილაბუსი პროგრამის ნაწილია, ექსპერტი ხარვეზად არ მიიჩნევდა ტექნიკურ შენიშვნას. ექსპერტი, შორენა ჯაფარიძე, დაეთანხმა საბჭოს წევრის მიერ გამოთქმულ შეფასებას.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შეკითხვა საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ საკითხის ირგვლივ შეკითხვა არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ინფორმაციული ტექნოლოგიის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მოლარის (ბანკის და ა.შ.) მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მცირე ბიზნესის მწარმოებლის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ტუროპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30¹ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ „კავკასიონს“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 412683813) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	ინფორმაციული ტექნოლოგიის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	მესამე	ინფორმაციული ტექნოლოგიის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
2	მოლარის (ბანკის და ა.შ.) მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	მესამე	მოლარის (ბანკის და ა.შ.) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
3	მცირე ბიზნესის მწარმოებლის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	მეხუთე	მცირე ბიზნესის მწარმოებლის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	120

4	პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	მეხუთე	პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	150
5	ტუროპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	მესამე	ტუროპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
6	ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	მეხუთე	ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	120



9. სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „მოდუსისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა ნინო ფეტვიაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო ორი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: 1) ელექტრიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და 2) სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. ექსპერტის განმარტებით, ორივე პროგრამაში დაფიქსირდა იდენტური ხარვეზები (სტანდარტის 1.1, 1.2, 1.3 და 1.4 პუნქტებთან მიმართებით), რომელზეც საკუთარი მნიშვნელობიდან გამომდინარე ზეგავლენას ახდენს პროგრამის მიერ დასახული მიზნებისა და შესაბამისად, ავტორიზაციის სტანდარტების მიერ დადგენილი მოთხოვნების შესრულებაზე. აქედან გამომდინარე, როგორც ელექტრიკოსის მესამე საფეხურის, ისე სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ აკმაყოფილებს სტანდარტების მოთხოვნებს და ექსპერტთა რეკომენდაციით დაწესებულებას უარი უნდა ეთქვას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატებაზე. ექსპერტმა მოახდინა დაფიქსირებული ხარვეზების წარდგენა სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მაგალითზე და აღნიშნა, რომ დასახელებული პროგრამა იყო 60 კრედიტიანი (1500 საათი). პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათებაში მითითებულია, რომ პრაქტიკას ეთმობა 30 კრედიტი (750 საათი), თეორიას 30 კრედიტი (750 საათი, საიდანაც 300 დამოუკიდებელია). სასწავლო გეგმაში საგნების ჩამონათვალს თან ახლავს კრედიტების რაოდენობის ჩამონათვალი, რომელიც არ შეესაბამება წარმოდგენილი სილაბუსების მონაცემებს. კერძოდ,

- სასწავლო კურსს - „მასალათმცოდნეობა“ კურიკულუმის მიხედვით უნდა ეთმობოდეს 4,48 კრედიტი, სილაბუსის მიხედვით საგანს ეთმობა 4,92 კრედიტი.
- სასწავლო კურსს ტექნიკური ხაზვა“ კურიკულუმის მიხედვით უნდა ეთმობოდეს 1,28 კრედიტი, სილაბუსის მიხედვით საგანს ეთმობა 1,76 კრედიტი.
- სასწავლო კურსს „ინგლისური ენა“ კურიკულუმის მიხედვით უნდა ეთმობოდეს 2,52 კრედიტი, სილაბუსით საგანს ეთმობა 3, 36 კრედიტი.

ასეთი აცდენაა ყველა საგანში და შესაბამისად, საკონტაქტო საათებიც არასწორადაა გადანაწილებული.

- სასწავლო გეგმასა და სილაბუსებში მითითებულ საათებს შორის არის მნიშვნელოვანი აცდენა. კურიკულუმის მიხედვით საერთო საათების რაოდენობაა

- 1500 საათი, ხოლო სილაბუსების საათების დაჯამების შედეგად მივიღეთ 1835 საათი.
- სასწავლო გეგმაში საგნების ჩამონათვლაში შეყვანილია „საკვალიფიკაციო გამოცდა“, რომელსაც ეთმობა 0,24 კრედიტი (6 საათი), რაც გაუგებრობას ქმნის საათებისა და კრედიტების გადათვლისა და სილაბუსებთან შესაბამისობის დადგენისას.

სასწავლო გეგმის მიხედვით სასწავლო პრაქტიკას ეთმობა 23,76 კრედიტი, თუმცა არსებობს რამდენიმე საგნის სილაბუსი, რომელიც გულისხმობს თეორიული მასალის პრაქტიკულ გამოყენებას და სასწავლო პრაქტიკა აქვს მითითებული სილაბუსში. ამ სილაბუსების კრედიტების რაოდენობა არ არის გათვალისწინებული პრაქტიკის კრედიტებში (ანუ ხდება პრაქტიკის საათების დუბლირება). მაგალითად,

- „მოდელირება და ხატვა “ (4,48 კრედიტი კურიკულუმით და 3,28 კრედიტი სილაბუსით);
- „ტანსაცმლის კერვის ტექნოლოგია“ (6,88 კრედიტი კურიკულუმით და 9,4 კრედიტი სილაბუსით);
- „ტანსაცმლის კონსტრუირება“ (კრედიტების რაოდენობა კურიკულუმით 3,28 და 3,2 კრედიტი სილაბუსით);

იმ შემთხვევაში, თუ პრაქტიკას ეთმობა 30 კრედიტი, დამატებითი საგნების სილაბუსებთან ერთად კრედიტების საერთო ჯამი აღემატება ამ რიცხვს. ამასთან, ზემოაღნიშნულ სილაბუსებში გათვალისწინებულია დამოუკიდებელი საათებიც, რაც პროგრამისა და სილაბუსების შეუსაბამობაზე მეტყველებს. შესაბამისად, დარღვეულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №121/ნ ბრძანების მოთხოვნა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იგი არ ეთანხმებოდა ექსპერტის მიერ დაფიქსირებულ შენიშვნას და აღნიშნა, რომ მაგალითად, ელექტრიკოსის შემთხვევაში, პრაქტიკულ ნაწილს ეთმობოდა 60 პროცენტი, შესაბამისად, იმისათვის რომ კრედიტების რაოდენობა ადვილი მისაღები ყოფილიყო მან დააჯამა ის საათები, რომლებიც პრაქტიკულ ნაწილს ეთმობოდა. წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ექსპერტთა ვიზიტის განხორციელების შემთხვევაში, მას ექნებოდა ექსპერტებთან კომუნიკაციის საშუალება და ადგილზე მოაგვარებდა ამ პრობლემას, რადგან ამ ეტაპზე, მას უკვე გამოსწორებული ჰქონდა ხარვეზი და გამოყოფილი ჰქონდა პრაქტიკის საათები.

ექსპერტი, ნინო ფეტვიაშვილი, არ დაეთანხმა დაწესებულების მოსაზრებას, რადგან დასახელებული შენიშვნა ეხებოდა ასევე, მაგალითად, ინგლისურ ენას, შესაბამისად, ინგლისური ენის შემთხვევაში პრაქტიკული ნაწილი არაფერ შუაში იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მას შეეძლო განეხილა იგივე მდივან-რეფერანტის მაგალითი სადაც ტექნიკური ხაზვა, წარმომადგენელმა ნახაზების შესრულებას, ანუ პრაქტიკას. წარმომადგენელმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ საბჭოს წინაშე ამ ხარვეზის განხილვა საჭირო არ იქნებოდა, მას რომ ჰქონოდა ექსპერტებთან წინასწარი კომუნიკაციის შესაძლებლობა. ამასთან, ელექტრიკოსის პროგრამას დაწესებულება აქამდეც ახორციელებდა და ამ პროგრამის არსებობა ქ. რუსთავისთვის მეტად მნიშვნელოვანი იყო.

საბჭოს წევრმა, ჯუმბერ გაბრიელაშვილმა, მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, რამდენი მანქანა იყო გათვალისწინებული ამ პროგრამისათვის. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, კოლეჯში არსებობდა 24 მანქანა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, აქვე, აღნიშნა, რომ ელექტრიკოსის სტანდარტის შემუშავებაში იგი თავად მონაწილეობდა და თუ შესაძლებელი იყო, საბჭოს ეს გარემოება უნდა მიეღო მხედველობაში. ამასთან, გასათვალისწინებელი იყო ისიც, რომ პრაქტიკული კომპონენტის ცალკე გამოყოფა მოხდა შეგნებულად, გამარტივების მიზნით.

ექსპერტმა, ნინო ფეტვიაშვილმა, განაცხადა, რომ გარდა ზემოაღნიშნულისა დაწესებულებაში დაფიქსირდა სხვა ხარვეზებიც. კერძოდ, პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო და საშუალო განათლება. ზოგიერთი საგანი დაშვების წინაპირობას არ ითვალისწინებს. თუმცა სასწავლო კურსის „სამკერვალო მანქანები და მოწყობილობები“ წინაპირობაა ლოგიკური აზროვნება. ამასთან, არც კურიკულუმში და არც სილაბუსში არ არის მითითებული, თუ როგორ ხდება ამ უნარის გადამოწმება და „არქონის“ შემთხვევაში, რა ზომებს მიმართავს დაწესებულება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათემატიკურ-ლოგიკურ აზროვნებას ითხოვდა კონკრეტული კურსის პედაგოგი, რადგან მას სხვა პირობებში სტუდენტთან მუშაობა შეუძლებლად მიაჩნდა. მაგალითად, ერთ-ერთი პედაგოგი აცხადებდა, რომ არ მიიღებდა სტუდენტს, რომელმაც არ იცოდა ელ.ტექნიკა.

საბჭოს წევრმა, კახაბერ ერაქემ, განაცხადა, რომ თუ საგანზე დაშვების წინაპირობა იყო ელ.ტექნიკა, მაშინ დაწესებულებას კონკრეტულ სილაბუსში უნდა ჩაეწერა დაშვების წინაპირობად არა ლოგიკური აზროვნება, არამედ - ელ.ტექნიკა.

ექსპერტმა, ნინო ფეტვიაშვილმა, საბჭოს გააცნო შემდეგი ხარვეზები, კერძოდ, მან აღნიშნა, რომ ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსი წარმოდგენილია პრაქტიკული სწავლებისა და თეორიული სწავლების სახით, რაც პროგრამაში არ არის დაზუსტებული. სილაბუსებში განსხვავებულია კრედიტების რაოდენობაცა და შედეგებიც. აქედან გამომდინარე, რთული დასადგენი გახდა რომელი შედეგი რომელ სილაბუსს შეესაბამება. შედეგების რუკისა და სილაბუსების შესაბამისობის გადამოწმებისას აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსსა და შედეგების რუკას შორის არის აცდენა. კერძოდ,

- „მეწარმეობის საფუძვლები, ბიზნეს ეთიკა და პროფესიული ღირებულებების“ სილაბუსში სილაბუსში სწავლის შედეგებში არ არის მითითებული კომუნიკაციის უნარი და ღირებულებები;
- სასწავლო კურსის „ტანსაცმლისკონსტრუირების“ სწავლის შედეგებში არ არის მითითებული ცოდნა და გაცნობიერება და სწავლის უნარი;
- სასწავლო კურსის „ტანსაცმლის კერვის ტექნოლოგია“ სწავლის შედეგებში არის მხოლოდ კომუნიკაციის უნარი და ღირებულებები, რაც არ შეესაბამება კურიკულუმის მონაცემებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იგი არ ეთანხმებოდა შენიშვნას იმის თაობაზე, რომ სასწავლო კურსის სილაბუსსა და შედეგების რუკას შორის იყო რაიმე აცდენა და განაცხადა, რომ არანაირი აცდენა არ არსებობდა.

ექსპერტმა, ნინო ფეტვიაშვილმა, საბჭოს გააცნო შემდეგი ხარვეზები, კერძოდ, მან აღნიშნა, რომ უცხოური ენის (ინგლისურის) სილაბუსის გრაფაში „სასწავლო კურსის მიზნები“ ვკითხულობთ, „კურსის მიზანია ჩამოუყალიბოს სტუდენტებს ინგლისურ ენაზე ის საჭირო სამეტყველო უნარ-ჩვევები (ზეპირმეტყველება, კითხვა) რაც უზრუნველყოფს მარტივ კომუნიკაციას. ამავე დროს სტუდენტმა უნდა შეძლოს სპეციალობის შესაბამისი ტექნიკური ტერმინოლოგიის გამოყენება“. თუმცა, სასწავლო კურსის შინაარსი იწყება ანბანის შესწავლით და ძირითადად არის გრამატიკული მასალის ჩამონათვალი. არ არის შესაბამისი საკითხები, რომლის გავლის შემდეგ სტუდენტი შეძლებს გამოიყენოს შესაბამისი ტექნიკური ტერმინოლოგია, როგორც ეს მიზანშია მითითებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში იგი იზიარებდა ექსპერტის შენიშვნას, მაგრამ სტუდენტი ვერ შეძლებდა ტექნიკური ტერმინოლოგიის ლექსიკონის წაკითხვას, თუ მას ანბანს არ ასწავლიდნენ.

ექსპერტმა, ნინო ფეტვიაშვილმა, საბჭოს გააცნო შემდეგი ხარვეზები, კერძოდ, მან აღნიშნა, რომ პროგრამაში პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასებაში მითითებულია, რომ სტუდენტის შეფასებისას იყენებენ „განმავითარებელ შეფასებას შუალედური ტესტების სახით და განმსაზღვრელ შეფასებას/შემაჯამებელ შეფასებას და საბოლოო გამოცდას“.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ორი ტიპის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სპეციფიკა და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას და არა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №121/ნ ბრძანებას. განმავითარებელი შეფასება ეს არის სიტყვიერი შეფასება, კომენტარი. ეს განმარტებაა მოცემული დაწესებულების მიერ წარმოდგენილ კურიკულუმში. აქედან გამომდინარე, პროგრამის მიხედვით შუალედური ტესტირება მხოლოდ კომენტარით შეფასდება, რაც არ აძლევს სტუდენტს იმის საშუალებას, რომ დააგროვოს მისთვის საჭირო ქულები, რათა გავიდეს საბოლოო გამოცდაზე.

პროგრამაში აღწერილია საბოლოო გამოცდის შეფასების კრიტერიუმები და გამოცდაზე გასვლის პირობები. რაც არ არის თანხვედრაში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსთან. წარმოდგენილი სილაბუსების მიხედვითაც, რთულია იმის დადგენა, როგორ აგროვებს სტუდენტი მაგ., აქტივობაში 15%-ს, შუალედურ ტესტირებაში 15%-ს, დემონსტრირებაში 30 %-ს, საბოლოო ტესტირებაში 40 %-ს (მაგალითად, სასწავლო კურსი „ მოდელირება და ხატვა“). თითქმის ყველა სილაბუსში შეფასება იდენტურია, არ არის გათვალისწინებული საგნის სპეციფიკა, არ არის ჩაშლილი კრიტერიუმები, რაც შეფასებას გამჭვირვალეს და რელევანტურს გახდიდა. პროგრამაში შეფასების პრინციპების აღწერიდან გამომდინარე ქულით ფასდება მხოლოდ საბოლოო ტესტირება. შესაბამისად, ირღვევა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №121/ნ ბრძანება (მუხლი 4/4).

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იგი არ ეთანხმებოდა ექსპერტის შენიშვნას, ვინაიდან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები გამოიყენებოდა, როგორც სკოლებში, ისე პროფესიულ სასწავლებლებში. წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სილაბუსში დაფიქსირებული იყო, რომ მოსწავლის აქტივობა ფასდება ქულით. ამასთან, წარმომადგენლის თქმით, მას თან ჰქონდა სწავლებისა და შეფასების მეთოდები და ყველა საგნისათვის შეფასების ცხრილი, სადაც ჩანდა თუ რა კომპონენტი, რითი ფასდებოდა; სხვადასხვა საგანში გამოიყენებოდა სხვადასხვა მეთოდი, ზოგად დემონსტრირება, ზოგან რაიმეს კეთება და ა.შ. შეფასების უწყისი ერთი საგნისათვის გადადიოდა საბოლოო უწყისში და წარედგინებოდა კომისიას, რომელიც ატარებდა საკვალიფიკაციო გამოცდას.

საბჭოს წევრმა, კახაბერ ერაძემ, აღნიშნა, რომ იგი ვერ დაეთანხმებოდა ექსპერტის უკანასკნელ შენიშვნას, რადგან განმავითარებელი შეფასების გამოიყენება შესაძლებელი იყო პროფესიულ სასწავლებლებშიც, თუ ხდება სტუდენტებთან კომუნიკაცია და შედეგების განხილვა. საბჭოს წევრმა მიმართა კითხვით ექსპერტს, ჰქონდა თუ არა სასწავლებელს მრავალკომპონენტური შეფასების სისტემა.

ექსპერტმა, ნინო ფეტვიაშვილმა, განაცხადა, რომ დაწესებულებას ჰქონდა მრავალკომპონენტური შეფასების სისტემა. თუმცა, მითითებული იყო, რომ განმავითარებელი შეფასებით ფასდებოდა შუალედური გამოცდა.

საბჭოს წევრმა, კახაბერ ერაძემ, მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს შუალედურ ტესტში დაწესებულება წერდა თუ არა ქულობრივ შეფასებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შუალედური გამოცდა ფასდებოდა ქულობრივად. შესაბამისად, საბჭოს წევრმა, კახაბერ ერაძემ, აღნიშნა, რომ მისთვის ეს შენიშვნა მოხსნილი იყო.

ექსპერტმა, ნინო ფეტვიაშვილმა, საბჭოს განუცხადა, რომ ზემოაღნიშნული ხარვეზების გარდა დაშვებული იყო რამდენიმე უზუსტობაც, კერძოდ:

- კურიკულუმის სასწავლო გეგმაში სასწავლო კურსის დასახელებაა „მეწარმეობის საფუძვლები, ბიზნეს ეთიკა და პროფესიული ღირებულებები“, ხოლო სილაბუსის მიხედვით იგივე კურსის სათაურია „სამეწარმეო საქმიანობა, ბიზნეს ეთიკა და პროფესიული ღირებულებები“.
- სასწავლო კურსის „ტანსაცმლის მოდელირება და ხატვა“ სილაბუსის მიხედვით ტესტირებას ეთმობა 4 საათი, კურიკულუმის მიხედვით შეფასებას (ტესტირებას) ეთმობა 5 საათი, თუმცა სასწავლო კურსის შინაარსში ტესტირება საერთოდ არ არის შინაარსში გათვალისწინებული.
- სასწავლო კურსში „ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები“ კურიკულუმის მიხედვით ტესტირებას ეთმობა 2 საათი, როცა სასწავლო კურსის შინაარსში შუალედური ტესტირება საერთოდ არ არის გათვალისწინებული. შესაბამისად, ირღვევა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №121/ნ ბრძანება (მუხლი 4/4). ასეთივე ხარვეზებია დაშვებულია სხვა სილაბუსებშიც.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საბჭოს შეეძლო გადაემოწმებინა პროგრამები და თუნდაც, ერთი სილაბუსი და დარწმუნებულიყო, რომ ყველა ხარვეზი გასწორდა.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებებიდან გამომდინარე, მას დარჩა შთაბეჭდილება, რომ ის რაც ექსპერტმა ხარვეზად დააფიქსირა, დაწესებულებას შეგნებულად ჰქონდა ჩადებული პროგრამაში და ამ ეტაპზე, განხორციელდა გარკვეული ქმედებები ხარვეზების გამოსასწორებლად. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა თავმჯდომარეს.

საბჭოს წევრმა, კახაბერ ერაძემ, აღნიშნა, რომ საბჭოს უნდა ჰქონოდა ერთიანი მიდგომა; კერძოდ, სხვა დაწესებულებებთან მიმართებით საბჭომ არ გაითვალისწინა ექსპერტთა დასკვნის შემდეგ შესწორებული პროგრამები, შესაბამისად, ამ შემთხვევაშიც, საბჭოს არ ჰქონდა უფლება გადაემოწმებინა ნამდვილად მოხდა თუ არა ხარვეზების გამოსწორება. კახაბერ ერაძემ, დამატებით აღნიშნა, რომ მისთვის არსებითი იყო ხარვეზი, რომელიც შეეხებოდა საგანის წინაპირობად „ლოგიკური აზროვნების“ მითითებასა და კრედიტების დაჯამების დროს არსებულ უზუსტობებს, სილაბუსისა და კურიკულუმის შეუსაბამობას.

ექსპერტმა, ნინო ფეტვიაშვილმა, აღნიშნა, რომ გარდა სტანდარტის 1.1 პუნქტთან დაკავშირებული შენიშვნებისა, არსებობდა ასევე, 1.2, 1.3 და 1.4 პუნქტთან დაკავშირებული შენიშვნებიც.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს ყველა წევრი, ისევე როგორც თავად დაწესებულება სრულად იცნობდა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს წევრმა, ჯუმბერ გაბრიელაშვილმა, განაცხადა, რომ მისი აზრით, პრიორიტეტული იყო ბაზარზე ელექტრიკოსის პროგრამის არსებობა.

საბჭოს წევრმა, ლალი ლოდელიანმა, აღნიშნა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დიდი წვალების შედეგად მოიპოვა საკერავი მანქანები და გადასცა იგი კოლეჯს, საკერავი მანქანების არსებობაზე კი, პირდაპირ იყო მიბმული დასაქმების პრობლემა სამკერვალო ქარხნებში. ლალი ლოდელიანის თქმით, იგი სრულად იზიარებდა ექსპერტის შენიშვნებს და მხოლოდ სინანულს გამოთქვამდა იმის გამო, რომ დაწესებულებამ არ იხელმძღვანელა სტანდარტის მოთხოვნებით და არ შექმნა შესაბამისი

პროგრამა, მითუფრო მაშინ, როდესაც ამ პროგრამის განხორციელებისთვის მას საჭირო ბაზა გააჩნდა. საბჭოს წევრმა, აქვე, აღნიშნა, რომ მისი აზრით, საბჭოს უნდა ემსჯელა არა იმაზე, შეესაბამებოდა თუ არა პროგრამები სტანდარტს, რაც ისედაც ფაქტი იყო, რომ პროგრამები სტანდარტს არ შეესაბამებოდა, არამედ იმაზე, გადაწონიდა, თუ არა სტანდარტის დარღვევის ფაქტს ამ მიმართულებით არსებული სახელმწიფო ინტერესი.

საბჭოს წევრმა, კახაბერ ერაძემ, აღნიშნა, რომ საჯარო კოლეჯებს მართებდათ მეტი სიფრთხილე და პასუხისმგებლობა, თუ სად და როგორ ხარჯავდნენ მოსახლეობის გადასახადებიდან მიღებულ ფინანსურ სახსრებს.

თავმჯდომარე დაეთანხმა საბჭოს წევრის მოსაზრებას და განაცხადა, რომ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული კოლეჯები არ უნდა ყოფილიყვნენ დაკავებულნი ექსპერიმენტებით, რადგან ისინი განკარგავდნენ სახელმწიფო ფინანსებს. ამასთან, სახელმწიფო ინტერესი იყო, ასევე, კერძო სექტორის განვითარებაც, ხოლო თუ კერძო კოლეჯებთან მიმართებით სტანდარტი მკაცრად იყო განსაზღვრული, საბჭოს ეს მიდგომა უნდა შეენარჩუნებინა საჯარო კოლეჯებთან მიმართებითაც, მითუფრო მაშინ, როდესაც ამ უკანასკნელს, მეტი სიფრთხილე მოეთხოვებოდა.

საბჭოს წევრმა, ჯუმბერ გაბრიელაშვილმა, განაცხადა, რომ იგი არ საუბრობდა განსხვავებულ მიდგომაზე, მან, უბრალოდ, აღნიშნა, რომ საქმე ეხებოდა საჭირო პროფესიებს.

თავმჯდომარე დაეთანხმა საბჭოს წევრს იმაში, რომ დასახელებული პროფესიები იყო ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი, მაგრამ თავმჯდომარის თქმით, ეს არ გულისხმობდა, ხარვეზების არსებობის დასაშვებობას, ადმინისტრირება უნდა ყოფილიყო გამართული, რაზეც, სავარაუდოდ, კოლეჯი გააგრძელებდა მუშაობას, დაფიქსირებული შენიშვნები კი, დაეხმარებოდა მას ამაში.

საბჭოს წევრმა, კახაბერ ერაძემ, აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო სივრცეში თავისი ადგილი ჰქონდა როგორც კერძო, ისე საჯარო კოლეჯებს. სახელმწიფო ინტერესი მნიშვნელოვანია, თუმცა მიდგომა უნდა ყოფილიყო ყველასათვის თანაბარი. ამასთან, განათლებისა და მეცნიერების მოქმედი მინისტრის განცხადებები მას არ აძლევდა მორალურ უფლებას, თუნდაც მცირე ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, მიეღო დადებითი გადაწყვეტილება.

საბჭოს წევრმა, ლალი დოღელიანმა, აღნიშნა, რომ უპირატესი იყო სტანდარტი და ერთიანი მიდგომის შენარჩუნება და არა ის, რომ რომელიმე კოლეჯი ვერ იყენებდა სახელმწიფოს დახმარებას. ამასთან, საბჭოს წევრმა, გამოთქვა იმედი, რომ ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზები დაეხმარებოდა დაწესებულებას პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანაში.

საბჭოს წევრმა, ჯუმბერ გაბრიელაშვილმა, განაცხადა, რომ მან ვერ აღმოაჩინა ისეთი მნიშვნელოვანი ხარვეზი, რომელიც ხელს შეუშლის ელექტრიკოსის ან მკერავის მომზადებას.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებით რაიმე მოსაზრების გამოთქმის სურვილი. საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ მზად იყვნენ კენჭისყრისათვის.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ელექტრიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 1

წინააღმდეგი - 6

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 1

წინააღმდეგი - 6

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30¹ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „მოდუსს“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 216350829) უარი ეთქვას შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებაზე:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	ელექტრიკოსი	მესამე	ელექტრიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
2	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი	მესამე	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ სხდომა დახურულად გამოცხადდა 23:29 საათზე.

თავმჯდომარე
ქეთევან ჯაყელი



მდივანი
ლალი ლოდელიანი

